ახალი ხარაგაული

№437 (11) 16 აგვისტო, 2021 წ.

„ქართული ოცნება“ ხარაგაულის მერობის კანდიდატად კობა ლურსმანაშვილი წარადგინა

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის მერობის კანდიდატი მოქმედი მერი კობა ლურსმანაშვილი იქნება.

კობა ლურსმანაშვილს, როგორც საქართველოს პარლამენტში, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებაში საქმიანობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

2013-2016 წ.წ. ხარაგაულის გამგებელი გახლდათ.

2016-2020 წ.წ. ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი.

2020 წელს შუალედურ არჩევნებში არჩეულ იქნა ხარაგაულის მერად.

,,ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა კიდევ ერთხელ ვემსახურო მშობლიურ მხარეს და საზოგადოებას, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც, ხარაგაულის რეალობაში, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე წარდგენილი ვარ კანდიდატად. ამ შემოთავაზებაზე დათანხმება, ეს არ არის რაიმე ფორმით მიჯაჭვა იმ სკამზე და იმ თანამდებობაზე რომელიც არჩევითია და ძალიან საპატიოა. ერთი წუთითაც რომ ვთვლიდე, რომ არ ვიქნები პროდუქტიული და არ მექნება მოსახლეობის ნდობა არ გადავდგამდი ამ ნაბიჯს. შევეცდები, თითოეული თქვენგანის იმედები გავამართლო და ხარაგაული უფრო მეტად წარმატებულ მუნიციპალიტეტად ვაქციო.“- აცხადებს კობა ლურსმანაშვილი.

ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები გამოიყო

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს, რომელიც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა.

როგორც აღინიშნა, წინა წლებთან შედარებით ბიუჯეტის შუალედური შედეგები გაუმჯობესებულია, რაც მერიისა და საკრებულოს ერთობლივი და გუნდური მუშაობის შედეგია. საერთო ჯამში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები მიმდინარე წლის ექვს თვეში 17 586, 1 ათასი ლარით განისაზღვრა და გეგმა 110,1 %-ით შესრულდა.

ამავე სხდომაზე განიხილეს საბიუჯეტო ცვლილება, რომელიც, ძირითადად, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას ეხებოდა. აქვე გეტყვით, რომ დაგეგმილთან შედარებით 1007,8 ათასი ლარით გაიზარდა გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები, რის საფუძველზეც ახალი ვალდებულებების აღება მოხდა.

დამატებითი თანხები მიიმართა:

გზების სარეაბილიტაციოდ-300,0 ათასი ლარი;

სოფლებში სასმელი წყლის პრობლემების აღმოსაფხვრელად- 100,0 ათასი ლარი;

გარე განათების ახალი წერტილების მოსაწყობად - 30,0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებზე- 30,0 ათასი ლარი;

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 70,0 ათასი ლარი;

სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამაზე - 35,0 ათასი ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებისათვის - 10,0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაციისა და ინვენტარით აღჭურვისათვის- 5,0 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე - 10,0 ათასი ლარი, რომელიც საჭიროა დაბა ხარაგაულში ,,დევების“ ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის თანადაფინანსებისათვის. აღნიშნული პროექტი წარდგენილია- ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საგრანტო კონკურსში.

გარდა ამისა, საგრანტო კონკურსში წარდგენილია ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომლის დოკუმენტაციის მომზადებისა და თანადაფინანსებისათვის საჭირო 15,0 ათასი ლარი ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ სუბსიდიიდან გამოიყო.

ცვლილება განხორციელდა რელიგიის მიმართულებით და ამ მუხლში დამატებით 15 000 ლარი მიიმართა.

სხდომას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც წარმოდგენილი საკითხების შესახებ ვრცლად ისაუბრა და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

საბოლოოდ, წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 10 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. ძირითადი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მიენიჭა, გარდა ამისა, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებიც განხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ სოფლებში პროექტების მიმდინარეობას სისტემატურად ადგილზე ეცნობა ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი და, სამუშაოების ეფექტურად და დროულად შესრულების მიზნით, მუდმივ კონტროლს ახორციელებს შემსრულებელ კომპანიებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით, ხარაგაული ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების მხრივ მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება.

ამ ეტაპზე დასრულებულია:

ვარძიაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება- 275,535 ლარი;

მოლითში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 109,943 ლარი;

ჩხერში-ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება- 31 458 ლარი;

ბაზალეთში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჭიპაშვილების უბანი)-პროექტის ღირებულება-196 404 ლარი;

ვანი - ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 108 649 ლარი;

ქვებში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის ღირებულება-24 769 ლარი;

წყალაფორეთში- ბაღის უბნის გზისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-219 921 ლარი;

ვერტყვიჭალაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება 60 900 ლარი;

ახალსოფელში - ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-პროექტის ღირებულება 313 777 ლარი;

ღარიხევში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი)-პროექტის ღირებულება 191 528 ლარი;

ბაზალეთში- საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი, მეორე ეტაპი) - პროექტის ღირებულება -244 622 ლარი;

მაქათუბანში - საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;

კიცხში - საუბნო გზების რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 147 000 ლარი;

მიმდინარეობს და დასრულების ეტაპზეა:

ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება 358,885 ლარი;

საქარიქედი (მუხების უბანი) - ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება-284 451 ლარი;

მარელისში - ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის ღირებულება-168 000 ლარი;

ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-271 420 ლარი;

სარგვეშში- სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი)-პროექტის ღირებულება - 220 095 ლარი;

ბორითში -საუბნო გზების რეაბილიტაცია (გოჭოურის უბანი)-პროექტის ღირებულება -100 000 ლარი;

თეთრაწყაროში -საუბნო გზების რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 306 904 ლარი;

ბორითში - საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეების, ფაბრიკის უბანი) - პროექტის ღირებულება-250 000 ლარი;

ლელვანში-ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი)-პროექტის ღირებულება-200 000 ლარი;

ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება-200 000 ლარი;

ხევში - საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-112 541 ლარი;

სარგვეშში - საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება -97 300 ლარი;

უბისაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 85 000 ლარი;

ლახუნდარაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება -108 500 ლარი;

ვარძიაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესამე უბანი) - პროექტის ღირებულება -134 880 ლარი;

ფარცხნალში - ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის ღირებულება - 97 900 ლარი.

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებითი თანხები გამოეყო

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებით 233 011 ლარი გამოეყო.

აღნიშნული საკითხის შესახებ დეპუტატებმა საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს და წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირეს.

დამატებით გამოყოფილი თანხა ოთხ გარდამავალ პროექტზე მიიმართა, რომელთა სრული რეაბილიტაცია, ნაცვლად 2022 წლისა, მიმდინარე წელს დასრულდება.

ეს პროექტებია:

ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი, მეორე ეტაპი);

თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი);

ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი, მეორე ეტაპი);

მაქათუბანში ორი უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი);

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს, პირველ ეტაპზე, ამ პროექტებზე 730 042 ლარი დაიხარჯა.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტები წარმატებით და, რაც მთავარია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ხორციელდება. ყოველივე კი მერის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

საერთო ჯამში, 2021 წელს ხარაგაულში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ათ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

8 აგვისტოს ომიდან ცაქვეში წელი გავიდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მოადგილე დავით დევდარიანმა, მერის წარმომადგენელმა ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში კოტე ბერაძემ და მაჟორიტარმა დეპუტატმა ნონა ზურაბიანმა 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძის, საფლავი ყვავილებით შეამკეს და კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

როგორც ცნობილია, ზაზამ რვა დაჭრილი გამოიყვანა სამშვიდობოს, მეცხრეს გამოსაყვანად რომ შევიდა, სამწუხაროდ, თავად დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ იგი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლი ღირსეული მამულიშვილი სოფელ ხიდარში დაიბადა და გაიზარდა. დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

ზაზასთან ერთად 8 აგვისტოს ომში მისი ძმა,ზვიად გლუნჩაძეც, იბრძოდა, რომელიც, საბედნიეროდ, თავის ოჯახს მშვიდობით დაუბრუნდა.

ეკა შავიძე

„დევების“ ქანდაკებებსა და მიმდებარე სკვერს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, მიმდინარე წელს ,,დევების“ ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტი - ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საგრანტო კონკურსის“- ფარგლებში დაფინანსდა. თანადაფინანსების სახით მერიამ 10 000 ლარი გამოყო, რომელიც, ძირითადად, ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად დაიხარჯება.

,,ჩვენი სურვილია, ,,დევების“ ქანდაკებების ტერიტორია ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკრეაციულ ზონად ვაქციოთ და კლდოვანი ნაწილის ზემოთ სკვერი მოეწყოს, სადაც იქნება სველი წერტილები, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაბამისი შენობა -ნაგებობები. განახლებას საჭიროებს ,,დევების“ მონუმენტებიც და, დაახლოებით, ამ პროექტზე ნახევარი მილიონი ლარის დახარჯვაა დაგეგმილი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ამ ადგილის მოწესრიგება, რომელიც ქმნის განწყობას ხარაგაულზე და, გარკვეულწილად, სიმბოლურ დატვირთვას ატარებს,“-აცხადებს ხარაგაულის მერი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი მიმდინარე წელს განხორციელდება. ამ ეტაპზე, წინასაპროექტო სამუშაოების მომზადება მიმდინარეობს.

ეკა შავიძე

სოფელში ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევში ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება. პროექტი -,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საგრანტო კონკურსის“-ფარგლებში დაფინანსდა. თანადაფინანსების სახით ხარაგაულის მერია 15 000 ლარს გაიღებს.

აქვე გეტყვით, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, მერია საკონკურსო იდეების წარდგენას მომავალ წელსაც გეგმავს.

სულ მალე დაბა ხარაგაულის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს

დაბა ხარაგაულის 24- საათიანი წყალმომარაგების მიზნით, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და რეაბილიტაცია უტარდება ლეღვნის სათავე-ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს.

სამუშაოები ითვალისწინებს წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, ორი ახალი ავზის, ჭაბურღილების, სათავე-ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. ასევე, მოეწყობა ახალი რეზერვუარი, დაგეგმილია კორპუსებში შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

აქვე მოგახსენებთ, რომ პროექტი ოქტომბრის ბოლოს დასრულდება და ხარაგაულის 4 000-მდე ოჯახს ხარისხიანი და სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში, ე.წ. ,,წყალსადენის“ ტერიტორიაზე წყლის სამი ალტერნატიული ჭაბურღილის გაჭრა მიმდინარეობს.

საერთო ჯამში, ხარაგაულის 24-საათიანი წყალმომარაგების მიზნით, 5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს ახალი ჭაბურღილები აშენდება: წყალაფორეთში, პატარა ვარძიაში, ვარძიაში, ლახუნდარასა და ზედუბანში.

8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძის, საუბნო გზის რეაბილიტაციის განახლებადღეგა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ, 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძის, საუბნო გზის რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერი გამოაცხადა. როგორც სატენდერო დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სამუშაოები 49 კალენდარულ დღეში დაასრულოს. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა, რაც მოსახლეობის გადაადგილებას პრობლემას უქმნიდა. პროექტის სავარაუდო ღირებულება 59 668 ლარია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

გარდა ამისა, ტენდერი გამოცხადებულია სოფელ ბორითში გორგაძეების საუბნო გზის მშენებლობის მიზნით, რისთვისაც 60 000 ლარი დაიხარჯება.

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მიმდინარეობს

სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 1 200 000 ლარი გამოეყო.

აღნიშნული თანხა, ძირითადად, გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და გაბიონების მოსაწყობად მიიმართა.

პროექტის ფარგლებში, დაბა ხარაგაულში, ბაზრის ტერიტორიაზე, მიმდინარეობს გზის ნაპირდამცავი კედლის აშენება - ღირებულება 439 439 ლარი;

სოფელ ლეღვანში, კიბაბოურის უბანში, ეწყობა ახალი სახიდე გადასასვლელი-ღირებულება 349 000 ლარი; გარდა ამისა, ცენტრალურ გზაზე დასრულდა გაბიონების მშენებლობა-ღირებულება 147445 ლარი;

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულების ეტაპზეა დაზიანებული ხიდებისა და მილხიდების აღდგენა (საერთო ჯამში 7 ობიექტი აღდგება) -ღირებულება 175300 ლარი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ქუჩების ბარანსგე ჩიცხული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია დაიწყო. აღნიშნულ საკითხს მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობს, რომელშიც ასევე ჩართულია კერძო აუდიტი.

აქვე გეტყვით, რომ სოფლებში არსებულ ქონებაზე ინფორმაციის მოძიება დაევალათ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს დეპუტატებს გააცნო იმ ტექნიკათა ჩამონათვალი, რომლებიც საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხას დაემატა:

,,-ავტომანქანა ,,ზილი“, ტრაქტორი ,,ბელარუსი“, ტრაქტორი ,,დეტე75“, სახნავი გუთანი ,,კულტივატორი“-ეს არის მუნიციპალური ქონება, რომლის პრივატიზება გადაწყვიტა მერიამ. აუდიტის დასკვნის საფუძველზე, უმეტესი მათგანი ამორტიზებულია და შეკეთება ვერ ხერხდება.“-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

წარმოდგენილი ქონების პრივატიზების მიზნით, ხარაგაულის მერია აუქციონს ეტაპობრივად გამოაცხადებს, რომელსაც შეგიძლიათ გაეცნოთ - www.eauction.ge-ზე.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კოვიდ -19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აქტიურად მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, აცრები ორ ლოკაციაზე - ხარაგაულის კლინიკასა და ბორითის გადაუდებელი დახმარების ცენტრში ხორციელდება. იმუნიზაციის პროცესი 8 აგვისტოდან კიდევ უფრო გამარტივდა და სოფლის მოსახლეობას წინასწარი ონლაინ რეგისტრაციის გარეშე, მათთვის სასურველ სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლია აცრა. მოქალაქეთა ტრანსპორტირებას ხარაგაულის მერია უზრუნველყოფს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაქცინაციის შეუფერხებლად წარმართვისათვის, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შტაბი, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, ბ-ნ შმაგი ხიჯაკაძის, ინფორმაციით, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში ხელმისაწვდომი ,,სინოვაკისა“ და ,,სინოფარმის“ ვაქცინებია. მისივე თქმით, წინა პერიოდთან შედარებით, მუნიციპალიტეტში ინფიცირებულთა რიცხვმა მოიმატა.

,,ერთი თვის წინ საკმაოდ სტაბილური მდგომარეობა იყო და კვირა ისე გადიოდა, ვირუსის არცერთი შემთხვევა არ ფიქსირდებოდა. თუმცა ბოლო პერიოდში სტატისტიკა საკმაოდ შემაშფოთებელია. ორ კვირაში ხარაგაულში დაინფიცირების 73 შემთხვევა დაფიქსირდა. შესაბამისად, მოიმატა გარდაცვლილთა რაოდენობამაც. ამ რთულ ვითარებაში, აცრა, ნიღბით სიარული და სოციალური დისტანცია ერთადერთი გამოსავალია. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა თვითიზოლაციის წესის დარღვევის რამდენიმე ფაქტიც, რაზეც გვქონდა შესაბამისი რეაგირება. ამ მხრივ სიტუაციას პოლიცია მკაცრად აკონტროლებს და ამიტომ ყველას მოვუწოდებ, ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში, დარჩენ სახლში.“-აცხადებს ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ეპიდემიოლოგიური სტატისტიკა ასეთია:

საერთო ჯამში 878 პირია დაინფიცირებული, სტაციონარულ მკურნალობას 30 პაციენტი გადის, გამოჯანმრთელებულია 714, გარდაცვლილია 17; თვითიზოლაციაში, დაახლოებით, 135 ადამიანი იმყოფება. აცრილია - 1374.

მარიამ შარიქაძე

მარადიული „ნაცვლთაკენები...“

(დიდი გალაკტიონისადმი მიძღვნილი დოკუმენტური წიგნისა და ფილმის პრეზენტაცია ფარცხნალის სასოფლო კლუბში)

განა რომელი სოფელი არ იამაყებდა იმით, თუ ჭაბუკი გალაკტიონ ტაბიძე, შემდგომში საქართველოს პოეტთა მეფედ სახელდებული, განათლებისა და წიგნიერებისაკენ მიმავალ გზებს გაუკვალავდა მის მკვიდრ გოგო-ბიჭებს... ასეთი ღვთიური მისია განგებამ მხოლოდ „სოფელთა შორის რჩეულ“ ფარცხნალს არგუნა...

რა არ ითქვა და რა არ დაიწერა „ქართული პოეზიის ამირანის“ ბობოქარ ცხოვრებაზე, მაგრამ თვით ცნობილ გალაკტიონოლოგთაც არ ჰქონდათ მოძიებული დოკუმენტები იმ წლების შესახებ, რომელიც დიდმა პოეტმა პედაგოგიურ ასპარეზზე დაჰყო სოფელ ფარცხნალში...

ხარაგაულსა და ღირსეულ ხარაგაულელებზე შექმნილი 14 წიგნის (ჯერჯერობით!) ავტორმა, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამფუძნებელმა, პატრიოტმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ აღნიშნული ხარვეზი შეავსო და ცხოველი ინტერესით, მიზანმიმართული რუდუნებითი შრომით: ეროვნულ მუზეუმში, სახელმწიფო არქივში, ლიტერატურის მუზეუმსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოპოვებულ იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით, ნათელი მოჰფინა დიდი გალაკტიონის ბიოგრაფიიდან იმ პერიოდს, როცა 19 წლის ჭაბუკი გალაკტიონი 1910 წლის ადრიან გაზაფხულზე დაწყებითი სკოლის პედაგოგად დაინიშნა შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალში.

ქალბატონ იზა ვეფხვაძის დიდი ინტერესი განსხვეულდა 2007 წელს ქუთაისის საგამომცემლო ცენტრში გამოცემულ 35-გვერდიან წიგნში „გალაკტიონის ნატერფალები“, რომლის პირველივე გვერდზე ვკითხულობთ: „მადლობა უფალს, მომეცა შესაძლებლობა დიდი ხნის ნაოცნებარის ასრულებისა, სოფელ ფარცხნალში, ხარაძეების სახლში, სადაც 1910-11 წლებში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ცხოვრობდა გალაკტიონ ტაბიძე, იხსნება ოთახი-მუზეუმი.

უთვალავ იმ ღირსებათაგან, რომელიც ამ მშვენიერ ზემოიმერულ სოფელს გააჩნია, გამორჩეული გახლავთ ის ფაქტი, რომ მის მინას ბუმბერაზი გალაკტიონის ნატერფალები აჩნევია...“

ქალბატონ იზას არ აკმაყოფილებდა აღნიშნული წიგნის ფორმატი და უფრო და უფრო უძლიერდებოდა კვლევის ინტერესი. უძილო ღამეებისა და უკიდეგანო შრომითი შემართების ფასად მან შეძლო, გალაკტიონის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველი კვლავ გაეხარებინა აღნიშნული წიგნის მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემით - „გალაკტიონის ნატერფალებზე“ (გამომცემლობა „ივერიონი“ , თბილისი, 2021, გვ 104). წიგნი დაიბეჭდა ღირსეული ხარაგაულელი ვაჟკაცის, გელა ბუაჩიძის, ფინანსური მხარდაჭერით.

როგორ გაიხარა დიდი გალაკტიონის მემკვიდრემ, ღვიძლმა ძმისშვილმა, გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ, როცა აღნიშნული წიგნის პირველი გამოცემა იხილა. მან ავტორს მიმართა: „აღფრთოვანებული ვარ თქვენი დიდი ინტერესით. მწამს, ამ კუთხით კიდევ მეტი ფაქტის მოპოვებასა და გამომზეურებას შეძლებთ...“

რაოდენ დიდი იქნებოდა მისი სიხარული, რომ 2021 წლის მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემაც ეხილა... (სამწუხაროდ, გალაკტიონის უახლოესი მემკვიდრე 2016 წლის 17 სექტემბერს გარდაიცვალა).

* * *

ქალბატონ იზას დაებადა იდეა, რომ სახალხო ლიტერატურული თეატრის ერთგულ შემოქმედ კოლექტივთან ერთად, მოძიებულ უამრავ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, კინოდოკუმენტურ სფეროშიც მოესინჯა საკუთარი შესაძლებლობანი. ასე იშვა წიგნის იდენტური სახელწოდების დოკუმენტური ფილმი „გალაკტიონის ნატერფალებზე“, რომელშიც „როლები“ ასე განანილდა: გალაკტიონი - ჯაბა ფცქიალაძე, მღვდელი კირილე კელენჯერიძე - გია ხარაძე, ფარცხნალელი ნიკოლოზ ბუაჩიძე - ლევან ნანიტაშვილი, გალაკტიონის მოსწავლეები დაბის სხვადასხვა სკოლის აღსაზრდელებმა განასახიერეს, ხოლო, წყაროსთან სარეცხით გამოსული ლამაზმანები - მარიამ გაჩეჩილაძემ და მარიამ ვეფხვაძემ. ფილმის პროდიუსერი და მთხრობელი ქალბატონი იზა ვეფხვაძეა.

* * *

19 ივლისს ფარცხნალის სასოფლო კლუბში მოეწყო აღნიშნული წიგნისა და ფილმის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ: ფარცხნალის მოსახლეობა, ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელები, ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, ცნობილი ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი, მწერალი გიზო თავაძე, მხატვარი ლევან გოგიტაძე მეუღლით, ხარაგაულის კულტურული ყოფით დაინტერესებული სხვა უამრავი პიროვნება...

სამწუხაროდ, დღევანდელი ჩვენი მოზარდი თაობა უფრო ინტერნეტმომხმარებელია, ვიდრე მკითხველი ამიტომ, ბუნებრივია, ფილმით მათთვის უფრო ცნობადი გახდება დიდი გალაკტიონის ფარცხნალთან ურთიერთობის აღნიშნული პერიოდი.

წიგნის, ფილმისა და ლიტერატურული თეატრის კოლექტივისა და ქალბატონ იზა ვეფხვაძის ღვაწლის შესახებ, შთამბეჭდავად ისაუბრეს: ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა, ფარცხნალში გალაკტიონის უპირველესი მასპინძლის - დიმიტრი ხარაძის- შთამომავალმა ელგუჯა ხარაძემ, უამრავი თაობის აღმზრდელმა, ფარცხნალის სკოლის ყოფილმა დირექტორმა იზა ბუაჩიძემ, წიგნის ფინანსურმა მენეჯერმა გელა ბუაჩიძემ...

წიგნის ავტორმა, იზა ვეფხვაძემ, თავის სიტყვაში გამოხატა უდიდესი მადლიერება გელა ბუაჩიძის მიმართ, რომლის მხარდაჭერითაც გამოიცა „გალაკტიონის ნატერფალებზე“.

* * *

დამსწრე საზოგადოება მეტად სასიამოვნო ფაქტის მოწმე გახდა, როცა ცნობილმა მხატვარმა, ჭეშმარიტად ხელოვანთა ოჯახის თაკვაცმა, ლევან გოგიტაძემ გელა ბუაჩიძეს სასიხარულო სიურპრიზი მოუწყო - საჩუქრად გადასცა თავისი ნამუშევარი ფერწერული ტილო - საქართველოს პოეტთა მეფე გალაკტიონი ფარცხნალის ეკლესიისა და „გალაკტიონის ცაცხვის“ ფონზე.

ქეთევან ხუციშვილი - ხელოვნებათმცოდნე, გელა ბუაჩიძის მეუღლე: „არ შემიძლია, სიტყვებით გამოვხატო ის ემოცია, რასაც ახლა განვიცდი... მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი შვილი ოთარ ბუაჩიძე მუდამ ვიქნებით გულისხმიერი მასპინძლები იმ სახლში, რომელიც ჩემი აწ განსვენებული მამამთილის, ლევან ბუაჩიძის, მამაპაპურ კერაზე ავაგეთ ფარცხნალში. მახარებს, რომ ჩვენთან წვეული, აუცილებლად მოიხიბლება ილია პატაშურის, ლევან გოგიტაძისა და სხვა ცნობილ მხატვართა ფერწერული ტილოებით და დღეს ამ ნამუშევრებს გვერდს დაუმშვენებს დიდი გალაკტიონის მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული სახე...

დიდი მადლობა მოწვეულ საზოგადოებას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, წიგნისა და ფილმის იდეის ავტორს, უნიჭიერეს იზა ვეფხვაძეს, რომელთა მზრუნველობითაც კიდევ უფრო ცნობადი ხდება იმერეთის ეს უმშვენიერესი სოფელი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „კორიფეთა სამკვიდროს“.

* * *

ძვირფასო მკითხველო!

ბუნებრივია, საგაზეთო წერილში არ ვსაუბრობთ აღნიშნული წიგნის შესწორებულ-შევსებულ გამოცემაზე, რადგან წიგნი „გალაკტიონის ნატერფალებზე“ საკმაო ტირაჟით გამოიცა და საჩუქრად მიიღო საზოგადოებამ.

... და დღესაც ჩუხჩუხებს ფარცხნალში ის ანკარა წყარო, სადაც ხარაძეთა და ბუაჩიძეთა ლამაზმანები: ნინა, მაშიკო, ივლიტე, დონიკა გამუდმებით რეცხავდნენ სარეცხს და ცდილობდნენ სკოლიდან მომავალი ახალგაზრდა მასწავლებლის ყურადღების მიპყრობას... კვლავ მძლავრად არხევს ტოტებს ეკლესიის ეზოში გალაკტიონის ნალოლიავები ცაცხვი... იქ, სადაც პატარა სკოლის უბადრუკ შენობაში სიმართლისა და მამულის სიყვარულის გრძნობას უძლიერებდა პანია ფარცხნალელებს მგზნებარე სულის ჭაბუკი პედაგოგი.

საუკუნეზე მეტი გავიდა იმ წლებიდან, შეიცვალა სოფლის სახე, ბეტონის საფარი „დაიხურეს“ სოფლის ტალახიანმა ცენტრალურმა და საუბნო გზებმა და მაინც, მარადიულად წარუშლელია შთამომავალთა ხსოვნაში ის კვალი, ის ნატერფალები, რომლებიც გალაკტიონმა აღბეჭდა „კორიფეთა სამკვიდროში“, ფარცხნალში...

P.S. ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ დააანონსა, რომ გვიან შემოდგომაზე, როცა კოვიდინფექცია ვიწრო ჩარჩოებში მოემწყვდევა, ფარცხნალის კლუბში იგი კვლავ შეხვდება საზოგადოებას დიდი ფარცხნალელი ქართველის, ციური სამყაროს მესაიდუმლის, აკადემიკოს ევგენი ხარაძისადმი მიძღვნილი წიგნისა და ფილმის პრეზენტაციაზე.

მომავალ ბედნიერ შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის კლინიკა კოვიდცენტრად გადაკეთდა

საქართველოს მასშტაბით და მათ შორის ხარაგაულში, ბოლო პერიოდში კოვიდინფიცირებულთა სტატისტიკამ მოიმატა. ეპიდვითარების გაუარესების გამო, ხარაგაულის კლინიკა და ბორითის გადაუდებელი დახმარების ცენტრი კოვიდცენტრებად გადაკეთდა.

როგორც ჩვენთან საუბარში ცენტრის დირექტორი გიორგი ამურველაშვილი განმარტავს, ხარაგაულის საავადმყოფო ძირითადად კოვიდ-ინფიცირებულებს მოემსახურება და გეგმიური ოპერაციები აღარ ჩატარდება. თუმცა, დარჩება რამდენიმე ამბულატორიული მომსახურება და მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს კარდიოლოგის, ნევროლოგის, გინეკოლოგის, ქირურგის, პედიატრისა და თერაპევტის მომსახურებებით.

რაც შეეხება ვაქცინაციის პროცესს, რომელიც 4 მაისიდან რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრში შეუფერხებლად მიმდინარეობს, ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება.

მარიამ შარიძაძე

ვახანში დაზიანებულ ხიდებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანსა (ინასარიძეების უბანი) და სოფელ სერბაისში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების აღდგენის მიზნით, გამოცხადებული ტენდერი დასრულდა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თენება-2015“ ვალდებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოები სამ თვეში დაასრულოს.

პროექტის განსახორციელებლად ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 24 ათასი ლარი დაიხარჯება.

ხარაგაულის მერია პოლიეთილენის მილებს შეიძენს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის მიზნით, პოლიეთილენის მილებს შეიძენს.

ამ მიზნით ტენდერი უკვე გამოცხადდა, რომელიც 20 აგვისტოს დასრულდება.

საერთო ჯამში, მერია ამ ეტაპზე, დაახლოებით, 73 000 ლარის მილს შეიძენს, რომლებიც სოფლებში საჭიროების მიხედვით გადანაწილდება.

დეპუტატებმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მოისმინეს

საკრებულოს სხდომაზე სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საანგარიშო პერიოდი 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის ივლისის თვეებს მოიცავდა.

საკითხი დეპუტატებს ამავე კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძემ წარუდგინა და განხორციელებული აქტივობების შესახებ ვრცლად ისაუბრა.

გივი თხელიძის ინფორმაციით, კომისია, რომელიც 11 წევრისგან შედგება, მერიის სოციალურ სამსახურთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კოორდინირებულად მუშაობს. მისივე ინფორმაციით, მერიაში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით სულ 23 ქვეპროგრამა მოქმედებს, რომლითაც მოქალაქეები სისტემატურად სარგებლობენ.

საანგარიშო პერიოდში გაცემულია 287 100 ლარის დახმარება, როგორც სამედიცინო მომსახურებისათვის, ასევე ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე.

გივი თხელიძის თქმით, კომისიამ მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად იმსჯელა იმ ბენეფიციართა კრიტერიუმებზე (მარტოხელა, დავრდომილი და ძალიან გაჭირვებული ოჯახი) რომელთაც საშეშე მერქანი გამოეყოთ. საშეშე მერქნით დახმარება 120 -ზე მეტ ოჯახს გაეწია. გარდა ამისა, საადგომო დღეებში დახმარება მიიღო 407-მა უკიდურესად გაჭირვებულმა ოჯახმა.

მომხსენებელმა ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მუშაობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ, დღეის მდგომარეობით, უფასო სადილს 105 ბენეფიციარი იღებს. კვირაში ორი დღე, სასადილო ახლომდებარე სოფლების (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი) 30 ბენეფიციარს მზა საკვების ადგილზე მიტანის სერვისით ემსახურება.

ყურადღება გამახვილდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საქმიანობაზე. მომხსენებლის ინფორმაციით, ცენტრი აქტიურადაა ჩართული კოვიდპანდემიის მართვაში და ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რაც საქართველოს მთავრობის მიერაა გათვალისწინებული. ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობს ეპიდზედამხედველობისა და იმუნიზაციის პროგრამები. მიმდინარე წლის აპრილიდან განახლდა C- ჰეპატიტის, შიდსის და ტუბერკულოზის საპილოტე სკრინიგ პროგრამები.

რაც შეეხება სოფლის ამბულატორიებს, გივი თხელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ამბულატორიის ექიმებისათვის მაღალი გამავლობის ავტომობილებითა და საწვავით მომარაგება, რათა დროულად მოხდეს პაციენტებზე მომსახურების გაწევა.

საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით კომისიის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

მარიამ შარიძაძე

საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი შესაძლოა, 15 სექტემბერს დაიწყოს

მოგეხსენებათ, რომ გასული სასწავლო წელი, პანდემიიდან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ნაწილობრივ დისტანციურად მიმდინარეობდა. რა ვითარება იქნება მიმდინარე წელს, ყოველივე ეპიდვითარებაზეა დამოკიდებული. ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი, ამბობს, რომ თუკი ქვეყანაში მდგომარეობა დასტაბილურდა, ისინი მზად არიან სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განაახლონ.

„დღეის მდგომარეობით, ხარაგაულის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში 21 საბავშვო ბაღი და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი შედის. სულ 600 აღსაზრდელი გვყავს და ბოლო წლებია, საბედნიეროდ, ბავშვთა კონტინგენტის კლება არ გვაქვს. რაც შეეხება ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ჯერჯერობით რა და როგორ იქნება არ ვიცით. ყოველივე პანდემიის გავრცელების დონეზეა დამოკიდებული. საუკეთესო შემთხვევაში, რეგულაციების სრული დაცვით, 15 სექტემბრისათვის მზად ვიქნებით სწავლის დასაწყებად.

-ბატონო მამუკა, რა სიახლეებით ხვდება სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება ახალ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს?

-2021-2022 სასწავლო წელს გვაქვს გარკვეული სიახლეები, ერთ-ერთია სურსათის უვნებლობის კუთხით. სექტემბრიდან ამოქმედდება ახალი სტანდარტი, ე. წ. ჰასპის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სურსათის ხარისხზე კონტროლს. სულ მალე ყველა საბავშვო ბაღში, ამ კუთხით სპეციალისტის გადამზადება მოხდება. დაგეგმილია რამდენიმე ბაღში მცირე კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარებაც, რისთვისაც 10 ათასი ლარი დაიხარჯება. ამჟამად პირველ საბავშვო ბაღში ყველა სასწავლო ოთახში მიმდინარეობს სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და დღის განმავლობაში მონიტორის საშუალებით, მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ, თვალი ადევნონ თავიანთ შვილებს. ეს სერვისი მომავალში სხვა ბაღებშიც დაინერგება. იგეგმება მარელისის სასკოლო მზაობის ჯგუფის გადაყვანა მარელისის სკოლაში, სადაც გაცილებით კომფორტული გარემოა. ასევე აქ, ბავშვთა რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე, ერთი შტატი დაემატება.

-როგორც ცნობილია იგეგმება ხუნევის საბავშვო ბაღის ახალი შენობის აგება, რას გვეტყვით ამის შესახებ?

-მოგეხსენებათ, რომ ხუნევის საბავშვო ბაღის შენობა საკმაოდ ძველი და ამორტიზებულია. აქ რომ ახალი შენობა აგებულიყო, საკმაოდ აქტიურად იმუშავეს ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა ქალბატონმა ლენა აბაშიძემ. უკვე მოძიებულია თანხები და სულ მალე ხუნევში ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აიგება.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ავტობანის მშენებლობის გამო, ცენტრალურ მაგისტრალთან მდებარე სოფლებში არსებულ რამდენიმე საბავშვო ბაღს გარკვეული პრობლემა შეექმნა. კერძოდ, ხევის ბაღი ექვემდებარება აღებას, შესაბამისად დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. შესაძლებელია, ახალი ბაღი აშენდეს ბორითშიც.

სკოლამდელი გაერთიანების თანამშრომლებს, აღსაზრდელებსა და მშობლებს, პირველ რიგში, ჯანმრთელობას ვუსურვებ. ვიმედოვნებ, სასწავლო პროცესს შეუფერხებლად დავიწყებთ და ჩვეულ რეჟიმში შევძლებთ ღირსეული თაობის აღზრდას.

თამარ მაღრაძე

დაბაში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის სახურავი შეკეთდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, დაბაში, წერეთლის N17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება უახლოეს მომავალში განხორციელდება. სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ტენდერი გამოცხადდა, რომელიც 18 აგვისტოს დასრულდება.

როგორც სატენდერო დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოები 21 დღეში დაასრულოს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 2 500 ლარია.

გარდა ამისა, დაგეგმილია ამავე ბინის ეზოს შემოღობვა, რისთვისაც 4 100 ლარი დაიხარჯება.

ეკა შავიძე

დიდვაკეში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია იწყება.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტენდერი დასრულდა. გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს ,,TU-KA,“ რომელიც სამუშაოებს 201 850 ლარად შეასრულებს.

როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შეიცვლება ბინების სახურავი, გარდა ამისა, დაგეგმილია საერთო სარგებლობის კიბეების რეაბილიტაცია.

როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს და ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში ბევრი სიახლე იქნება.

ეკა შავიძე

საპროექტო წინადადებების მიღება დაიწყო

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, წინადადებების მიღება დაიწყო, რომელიც ელექტრონულად, ხარაგაულის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე-kharagaulinews.gov.ge- არის შესაძლებელი. გვერდზე განთავსებულია სპეციალური სააპლიკაციო ფორმა, რისი საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი იდეა წარმოადგინონ.

საერთო ჯამში, ამ მიმართულებით მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, პირველ ეტაპზე 150 000 ლარი დაიხარჯება, თითოეული პროგრამისათვის კი 30 000 ლარამდე იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება გამარჯვებულ პროექტებს, ამის შესახებ ინფორმაცია ნოემბერში გახდება ცნობილი.

პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია, დაფინანსდეს ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და სპორტული პროექტები. მათი განხორციელება უნდა იგეგმებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულის მერიაში სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა ყოველწლიურად განხორციელდება.

ეკა შავიძე

საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის ადგილები გამოიყო

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ იმსჯელეს. გარდა ამისა, დაადგინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის ადგილები.

აქვე გეტყვით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება და სიახლეა ის, რომ მაჟორიტარებისთვის გარკვეული ბარიერი დაწესდა.

კერძოდ, საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 40%-ზე მეტს მიიღებს.

ასევე, დამსხვილდა ოლქები და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 20-ის ნაცვლად 11 სამაჟორიტარო ოლქი იქნება, რომლებიც შემდეგნაირად განისაზღვრა:

დაბა;
ბაზალეთი, ლაშე, ღორეშა, სარგვეში;
ვარძია, წყალაფორეთი, ხიდარი;
კიცხი, ფარცხნალი;
ლეღვანი, ვახანი;
წიფა, ზვარე;
ხევი, ნადაბური;
ბორითი;
ხუნევი;
საღანძილე;
მოლითი.

კიცხის საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდა. ამჟამად შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეზოს მოპირკეთება მიმდინარეობს, რის შემდეგაც შენობა ახალი ინვენტარით აღიჭურვება.

150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა Design-Build მეთოდით აიგო და მასზე 2 420 643 ლარი დაიხარჯა.

გარდა ახალი თანამედროვე ტიპის შენობისა, განხორციელდა ეზოს სრული რეაბილიტაცია და მოეწყო სპორტული მოედანი.

მისასალმებელია, რომ შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

კიცხის საჯარო სკოლაში ამჟამად 90-მდე მოსწავლეა.

ყურადღება, აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონი ცხადდება.

კერძოდ: სოფელი საღანძილე - ავტომანქანა ზილი 4502, სახ.N DBI3302-საწყისი ღირებულება 2400 ლარი;

სოფელი ბორი-ტრაქტორი ,,ბელარუსი“, სახ. N RA618-საწყისი ღირებულება 1500 ლარი;

სოფელი ბაზალეთი-ტრაქტორი ,,DT75“, სახ. N SZ731-საწყისი ღირებულება 4200 ლარი;

სოფელი ღორეშა-სახნავი გუთანი (კულტივატორი)-საწყისი ღირებულება-1200 ლარი;

სოფელი გრიგალათი-ავტომანქანა GAZ-66, სახ. N OXO892-საწყისი ღირებულება-2100 ლარი;

დაბა ხარაგაული, ს.ს. ,,იმერის“ ტერიტორიაზე - ავტომანქანა MERSEDES BENZ ML 320, სახ. N HH748HP-საწყისი ღირებულება-2800 ლარი;

დაბა ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა N. 15-ავტომანქანა MITSUBISHI DELIKA, სახ.N MS 142SS-საწყისი ღირებულება-5200 ლარი;

დაბა ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა N15-ავტობუსი BOGDAN, მოდელი A, სახ. N WW435PP-საწყისი ღირებულება-21 000 ლარი.

აუქციონი 17 აგვისტოს გამოცხადდება და 23 აგვისტოს დასრულდება.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge.

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ - „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელებას იწყებს. აღნიშნული პროექტი ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს და ბიუჯეტი 50 000 000 ლარით განისაზღვრა.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს შეუძლიათ შეიძინონ: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორი, ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი), ტრაქტორზე მისაბმელი (იმპლემენტი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილი თვითმავალი ტექნიკა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე. ტექნიკაზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები, არანაკლებ 6 თვის ვადით. შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ დასაშვებია მეორეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და კომბაინის შეძენა.

რაც შეეხება თანადაფინანსებას, 100 000 ლარამდე ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის შემთხვევაში, შეადგენს არაუმეტეს 35%-ს. დანარჩენ შემთხვევაში თანადაფინანსება 30%-ით განისაზღვრება.

პროგრამაში ჩართვა შეუძლია საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივს, რომელშიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი არ ფლობს წილს.

განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, www. rda.gov.ge-ზე.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12